



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულო**



განკარგულება: გ-87.87213511  
თარიღი: 17/12/2021

**განკარგულება №49**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და  
პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2, 2.1 და 2.2 პუნქტების, 30.1 მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- ა) იურიდიულ საკითხთა კომისია - 8 წევრი;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 8 წევრი;
- გ) ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - 8 წევრი;
- დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - 8 წევრი;
- ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია - 9 წევრი.

2. საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს სამი მეტუთედისა (3/5);
  - ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს ორი მეტუთედისა (2/5);
  - გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, შესაბამისი კომისიის წევრი ხდება პირადი განცხადების საფუძველზე, - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30.1 მუხლის 2.2 პუნქტით დადგენილი წესით.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №43 განკარგულება.

4. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით.

5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თაგმადომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

